საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა

დამტკიცებულია
რექტორის 2020 წლის 20 ივლისის №412 ბრძანებით

თბილისი
2020

1. ზოგადი დებულებები

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში - სეუ) ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზანსა და საფუძველს. სეუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შექმნილი და შემუშავებულია, რათა ხელი შეუწყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და კარგად დოკუმენტირებულ ცვლილებებს მენეჯმენტის პროცესებში მთელს უნივერსიტეტში და შესაბამისად, წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვისა და მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილს. იგი ორიენტირებულია ინოვაციაზე, მდგრადობაზე, სტუდენტებსა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. სისტემა შესაბამისობაშია ევროპული უმაღლესი განათლების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან, მოქმედ კანონმდებლობასთან, ასევე სეუ-ს მისიასა და სტრატეგიასთან.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზნები

სეუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანს წარმოადგენს:

- ინსტიტუციური სტრატეგიის განხორციელებისათვის ხელშეწყობა;
- ინსტიტუციური პროცესების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა;
- ინსტიტუციური პროცესის უწყვეტი და სისტემატური გაუმჯობესება;
- სწავლისა და სწავლების პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა და გაძლიერება.

3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ამოცანები

სეუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებისა და განვითარების სისტემა მიზნად ისახავს განსაზღვრული მიზნების მიღწევას შემდეგი ამოცანების შესრულების საშუალებით:

- ინსტიტუციური პროცესების ხარისხის რეგულარული მონიტორინგი და ინსტიტუციური სტრატეგიული მიზნების განხორციელება პროგრესის გაზომვით ინდიკატორების საშუალებით;
- ინსტიტუციური პროცესების ხარისხის რეგულარული შეფასება და ინსტიტუციური სტრატეგიული მიზნების განხორციელება, შეთანხმებული ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მექანიზმების გამოყენებით;

- ინსტიტუციური პროცესების ხარისხის რეგულარული გაუმჯობესება და ინსტიტუციური სტრატეგიული მიზნების განხორციელება, ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მექანიზმების შედეგებზე დაყრდნობით;
- რეგულარული კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების სისტემის შედეგების შესახებ და ინსტიტუციური სტრატეგიული მიზნების განხორციელების შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან;
- ინსტიტუციური ხარისხის კულტურის გაძლიერება და განმტკიცება, ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების პროცესებში შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დაკავშირება სწავლისა და სწავლების ხარისხის სრულყოფილი მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით.

4. ძირითადი პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებისა და განვითარების სისტემა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში თანმიმდევრულ პროცესებსა და მექანიზმებს ხარისხის გასაძლიერებლად, ასევე, ინდივიდუალურ პროცესებსა და პროცედურებზე ნათლად განსაზღვრულ პასუხისმგებლობებს. თითოეული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი და მექანიზმი მოიცავს PDCA ციკლს, რომელიც ითვალისწინებს აუცილებელ ნაბიჯებს ხარისხის ინდივიდუალური ციკლის წარმატებით დახურვისთვის: P (გეგმა) - დაგეგმვა; D (კეთება) - განხორციელება; C (შემოწმება) - შემოწმება; A (მოქმედება) - რეაგირება.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ქმნის სისტემურ და ერთიან მეთოდოლოგიურ მიდგომას მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში. იგი ასევე რეგულარულად აფასებს და აუმჯობესებს თავად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას - მის პოლიტიკას, პროცესებს, პროცედურებსა და პასუხისმგებლობებს. პასუხისმგებლობა ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების საკითხზე ნაწილდება აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე, სტუდენტებსა და ხელმძღვანელობაზე.

ხარისხის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობენ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები.

5. პროცესები და მექანიზმები, რომლებიც აყალიბებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ხარისხის უზრუნველყოფის და გაძლიერების

პროცესებსა და მექანიზმებზე. პროცესები ფარავს ყველა საქმიანობას სწავლისა და სწავლების, კვლევის, საზოგადოების მომსახურების, აგრეთვე მმართველობას, მენეჯმენტსა და დამხმარე სერვისებს. სეუ რეგულარულად იყენებს მექანიზმების ერთობლიობას, რომლებიც უნივერსიტეტის მასშტაბით აკონტროლებენ, აფასებენ და აუმჯობესებენ პროცესებს.

სწავლა-სწავლება

- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და აკრედიტაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და ინსტიტუციური პოლიტიკის შესაბამისად;
- საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესების გაუმჯობესება საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებისა და გარე შეფასებების შედეგების საფუძველზე;
- სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ჩატარება;
- სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგი;
- სტუდენტებისთვის დახმარების გაწევა (აკადემიური კონსულტაცია, მობილობაა, კარიერის განვითარება, გარეშე აქტივობები და ა.შ.);
- აკადემიური მთლიანობის უზრუნველყოფა;
- ფართო საზოგადოების ინფორმირება საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- აღიარების რეგულაციებისა და მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კვლევა

- კვლევისა და განვითარების პროექტების ანალიზი, დაგეგმვა და განხორციელება;
- სამეცნირო-კვლევითი ფონდების მოზიდვის ხელშეწყობა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და მისი შედეგების ანალიზი;
- სამეცნიერო-კვლევითი შედეგების გამოქვეყნების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ინფორმირება კვლევითი საქმიანობის შესახებ;
- სამეცნიერო-კვლევითი მთლიანობის უზრუნველყოფა.

საზოგადოებრივი სერვისები

- საზოგადოებრივი პროექტების ანალიზი, დაგეგმვა და განხორციელება;
- ცოდნის გადაცემის ანალიზი და საზოგადოებასთან თანამშრომლობა.

მართვა, მენეჯმენტი და დამხმარე სერვისები

- დაწესებულების ეფექტურად მართვა;
- ინსტიტუციური მისიის განხორციელება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მეშვეობით საზოგადოებასა და ეკონომიკაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
- სტუდენტებისა და პერსონალის უფლებების დაცვა ობიექტურ და სამართლიან პრინციპებზე დაყრდნობით;
- ადამიანური რესურსების მართვა (რეკრუტირება, შეფასება და პროფესიული განვითარება);
- ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტურად მართვა;
- (ელ) ბიბლიოთეკის განვითარება და გაფართოება;
- პროცესების დოკუმენტაცია და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა;
- მენეჯმენტის ხელშეწყობა ეფექტური ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური სისტემის საშუალებით.

6. ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მექანიზმები

სასწავლო კურსის თვითშეფასება

სასწავლო კურსების თვითშეფასების მიზანია კონკრეტული სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების ხარისხის შეფასება, რომელიც ხორციელდება თითოეული სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ.

რეცენზირების შეფასება

რეცენზირებასთან დაკავშირებული შეფასების მიზანია პროფესიული უკუკავშირის მიწოდება აკადემიური პერსონალისთვის მათი აკადემიური და შეფასების საქმიანობის წარმართვისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის შეფასება და გაუმჯობესება და იმის შეფასება, მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ამ პროცესის ნაწილია, დაინტერესებული მხარეები, რომლებიც სრულყოფილად აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამისა და პროცესის სხვადასხვა ასპექტებს, განსაკუთრებით სწავლის,

სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება ორ წელიწადში ერთხელ.

უნივერსიტეტის თვითშეფასება

უნივერსიტეტის თვითშეფასება მიზნად ისახავს დაწესებულების სტრატეგიული და რეგულარული საქმიანობის განხორციელების მონიტორინგს და ინსტიტუციური პროცესების ხარისხის შეფასებას ფაკულტეტების/სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის, პროცესებისა და რესურსების შეფასებისა და ინსტიტუციური ადმინისტრირების გზით. ინსტიტუციური თვითშეფასება ტარდება ყოველწლიურად.

გამოკითხვები

უნივერსიტეტი რეგულარულად აგროვებს უკუკავშირს შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების საშუალებით. პერიოდულად ტარდება შემდეგი გამოკითხვები: სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების შეფასება, სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის შეფასება, სტუდენტების მიერ პრაქტიკის შეფასება, აკადემიური პერსონალის თვითშეფასება თავიანთი აკადემიური საქმიანობის შესაბამისად, პერსონალთა კმაყოფილების კვლევა, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა. შედეგები ანალიზდება და რეგულარულად გამოიყენება თვითშეფასების პროცესებში.

ავტორიზაცია, აკრედიტაცია და შეფასება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას გადის მოქმედი კანომდებლობით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადებში. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებს წარმართავს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. გარდა ამისა, პერიოდულად ხდება სეუ-ს საქმიანობის საერთაშორისო შეფასება. ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და საერთაშორისო შეფასების შედეგები ინტეგრირებულია გაუმჯობესების გეგმებში.